2-1261/26
04-02-2026

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

გაცნობებთ რომ, მიმდინარე წლის 4 თებერვალს, ჩატარდა სასურსათო პროდუქციის, მედიკამენტებისა და საწვავის ფასწარმოქმნის სტრუქტურის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის პირველი საორგანიზაციო სხდომა.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ რომ, ამავე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად, კომისიის წევრთა მიერ, კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩეულ იქნა ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი **შოთა ბერეკაშვილი,** ხოლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე - საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის „ხალხის ძალის“ წევრი **ეკა სეფაშვილი.**

სხდომაზე ასევე, შემუშავდა კომისიის დებულების პროექტი, რომელსაც წარმოგიდგენთ დასამტკიცებლად.

დანართი: 5 ფურცელი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
შოთა ბერეკაშვილი